ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N32070101/01/50
CPV:71600000- ტექნიკური შემოწმება/ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურებები

ქ. თბილისი 29 მარტი, 2018 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში _ შემსყიდველი), სააგენტოს დირექტორი ზვიად როსტომაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „აუტოტესტ გეორგია'' მისი დირექტორის ვაჟა იორდანიშვილი სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი''), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1] ქვეპუნქტის, სააგენტოს ადმინისტრაციის სამსახურის სპეციალისტის 2018 წლის 28 მარტის N348989 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (ორგანიზაციული კოდი: სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო-32070101) სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტომობილის - DODGE SPRINTER სახ.ნომრით MM -897- QQ ტექნიკური დათვალიერების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 შესყიდვის ობიექტია - ავტომობილი - DODGE SPRINTER -ის ტექნიკური დათვალიერება გზებზე ვარგისიანობის დასადგენად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა (დ.ღ.გ. და სხვა) გადასახადების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კილომეტრი.

4.3 მიმწოდებელია ვალდებულია შესყიდვის ობიექტის მიწოდება უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 30 მარტის ჩათვლით.

4.4 საქონლის/მომსახურების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას და/ან სასაქონლო ზედნადებს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სააგენტოს ადმინისტრაციის სამასახურის მთავარი სპეციალისტი დავით ჭიჭინაძე.

5.3 ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N32070101/01/50

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შპს"ს.დ პრინტ-ქოლორი" მიმართ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

---

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. ,,მიმწოდებელითან'' ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

6.3 ,,მიმწოდებელთან'' ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტიურად მოწოდებული საქონლის (მომსახურებით) ღირებულების შესაბამისად სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.4 მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.

7.მხარეთა უფლებები

7.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.

7.2 ,,შემსყიდველს'' უფლება აქვს:

7.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის (მომსახურების) მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადასცეს ,,შემსყიდველს'' ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი (მომსახურება).

8.1.2. დროულად განიხილოს ,,შემსყიდველის'' მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.2. ,,შემსყიდველი'' ვალდებულია:

8.2.1. უზრუნველყოს ,,მიმწოდებლისათვის'' თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.2.2. დროულად განიხილოს ,,მიმწოდებლის'' მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი'' ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ,,შეთანხმების'' სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ,,შემსყიდველმა'' და ,,მიმწოდებელმა'' ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
11.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

14. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

14.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
14.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2% (ორი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
14.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო მიმწოდებელს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5%-ის ოდენობით.
14.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების კონტროლი

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.
15.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.
15.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო

გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

15.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

15.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

16. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით.

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', ორი ეგზემპლარი – ,,შემსყიდველთან''.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222

დირექტორი ბატონი როსტომაშვილი

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „აუტოტესტ გეორგია'', მისამართი: ქ.თბილისი,სოფელი დიღომი ,ჩალიპირები; ს/კ405041119, ს.ს. ,,თიბისი ბანკი'', ბანკის კოდი:TBCBGE22, ა/აGE51TB7683836080100003;

დირექტორი ვაჟა იორდანიშვილი

(ხელმოწერა)

ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) N 10403
გასაწევ მომსახურებაზე (შესასრულებელ სამუშაოზე)

28 ივლისი 2018 წ.

გამცემი 4 0 5 0 4 1 1 1 9
საიდ. ნომერი

მყიდველი 2 0 2 2 9 4 9 8 0
საიდ ნომერი

დასახელება შპს "აუტოტესტ გეორგია"

დასახელება სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფორმაციულ-ბიბლიოთეკური გაცვლითარების საგანტო"

მისამართი თბილისი,სოფ. დიღომი "ჩალიპირები"
ტელეფონი 2 5 3 1 0 0 9

მისამართი

საბანკო თი-ბი-სი ბანკი, ცენტრ.ფილიალი
რეკვიზიტები ასა GE51TB7683836080100003

საბანკო
რეკვიზიტები

გასაწევი მომსახურების დასახელება	ზომის ერთ	რაოდ ნობა	ერთეული ს ფასი დღგ-ს	ღირებულება დღგ-ს გარეშე	დღგ	მთ/ღირებულება დღგ-ს ჩათვლით
ასს-ის სახ.ნომ. MM897QQ პერიოდული ტექ.ინსპექტირება,	ცალი	1	100.00	84.75	15.25	100.00
				84.75	15.25	100.00

სულ.

სულ თანხა სიტყვით ასი ლარი

გადახდის პირობები გადარიცხვით

ხელმძღვანელი ან სხვა
უფლებამოსილი პირი
შპს "აუტოტესტ გეორგია-ს დირექტორი
ვაჟა ციციდანიშვილი

თარიღი
მყიდველს ჩაბარდა
ხელმოწ:

AUTOTEST GEORGIA
405041119
GEORGIA, "AUTOTEST GEORGIA" LTD

MES 9 18 00348989

28/03/2018

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის
განვითარების სააგენტოს დირექტორს
ბატონ ზვიად როსტომაშვილს

სამსახურეობრივი ბარათი

ბატონო ზვიად,

მოგახსენებთ რომ, სააგენტოს ბალანსზე მყოფ ავტომობილს DODGE SPRINTER-ს გამოშვების წელი 2005. ძრავის მოცულობა 2.7- სახელმწიფო ნომრით MM-897-QQ ესაჭიროება ტექნიკური დათვალიერების შეყვიდვა.
წარმოგიდგენთ შპს „აუტოტესტ გეორგია"-ს მიერ მოწოდებულ ინვოის.
დანართი:1 გვ.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო /
ადმინისტრაცია
მთავარი სპეციალისტი
დავით ჭიჭინაძე